

შპს სიო



პროფესიული სტუდენტის შეფასების
მარეგულირებელი წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის მომზადებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირების რეგულაცია.
- 1.2. დოკუმენტის პირველი თავი მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას.
- 1.3. დოკუმენტის მე-2 თავი არეგულირებს შეფასების პროცესის ადმინისტრირებასთან/მართვას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვება, აღრიცხვასა და შენახვის წესს.

თავი 1.

მუხლი 2. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა

- 2.1 კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე.
- 2.2. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური,სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე:
 - ✓ **ვალიდურობა**- განსაზღვრავს, შეფასების პროცედურით იზომება თუ არა ის, რისი შეფასებაც არის გამიზნული.შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება.
 - ✓ **სანდოობა** -შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
 - ✓ **სამართლიანობა** -გულისხმობს იმას, რომ შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.
 - ✓ **გამჭვირვალობა**- ნიშნავს იმას, რომ საჯაროდ ცნობილია წინასწარ შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორცაა შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ღონისძიების ჩატარების დრო,დადასტურების პირობები, მოთხოვნები.

მუხლი 3. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომები

- 3.1. შეფასებისას გამოიყენება **არადიფერენცირებული** მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან- „სწავლის შედეგ არ არის დადასტურდა“.

მუხლი 4. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სახეები

- 4.1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება **განმავითარებელი და განმსაზღვრელი** შეფასება.
- 4.2. **განმავითარებელი შეფასება** არის ინსტრუმენტი რომელიც გაზომავს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს და შემდგომი სწავლებისათვის არსებულ პოტენციალს.
 - 4.2.1. განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. პროფესიულმა სტუდენტი გამოსცდის საკუთარ კომპეტენციას, როგორც თეორიული ცოდნას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. განმავითარებელი შეფასება ერთგვარი პროგრამის განხორციელების შეფასების ინსტრუმენტია და ეხმარება როგორც პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შექმნის.
 - 4.2.2. განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.
 - 4.2.3. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება **განმსაზღვრელი** შეფასებისათვის.
 - 4.2.4. პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.
- 4.3. **განმსაზღვრელი შეფასება**
 - 4.3.1. **განმსაზღვრელი შეფასება** ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასების მიდგომა და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა.
 - 4.3.2. განმსაზღვრელი შეფასებით დადასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგი. შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოყენება.
 - 4.3.3. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ორიენტირებულია კვალიფიკაციის მოთხოვნებზე.
 - 4.3.4. განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისი შეფასების ფურცლ(ებ)ით და მტკიცებულ(ებ)ით.

მუხლი 5. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებები

- 5.1. შეფასების მიმართულებებია: **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა**. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლად რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც, რადგანაც პრაქტიკული უნარები ცოდნას ეფუძნება, თუმცა, იშვიათად იძლევა ცოდნის ფართო სპექტრის შეფასების შესაძლებლობას.
- 5.2. **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით**-შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას

პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებას ახორციელებს. შემფასებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, შესაფასებელ პირის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

5.3. **პრაქტიკული დავალება**-ეს მიმართულება გულისხმობს არა მარტო შესაფასებელი პირის მიერ შექმნილი „პროდუქტის“ შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან შესაფასებელი პირის მიერ დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის“ შეფასებასაც, როგორცაა შესაფასებელ პირის მიერ ჩატარებული ტური, შექმნილი პროექტი, შეჭრილი თმა, გაფორმებული ხელშეკრულება, შექმნილი CV და ა.შ.

5.4. **გამოკითხვა**-გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა შესაფასებელი პირის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა, სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. **გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით ის აერთიანებს ყველა მიდგომას, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია აკადემიური უნარების შეფასება.** მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილი იყოს, მაგალითად, შესაფასებელი პირის მიერ შევსებული ტესტი, ან ზეპირი გამოკითხვის შეფასების ფურცელი. წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. შეფასების ინსტრუმენტები

6. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს:

- მომზადება/შერჩევა
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება
- ვალიდაცია

6.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.

6.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს .

6.3. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.

6.4. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

6.5. მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის)დაცვას.

6.6. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა

6.6.1. დარგის/კვალიფიკაციის მიუხედავად, ყველა შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაწესებულების ლოგო;

- დაწესებულების დასახელება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
- მოდულის სახელწოდება
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი;
- პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;
- სწავლის შედეგ(ებ)ი
- შეფასების მეთოდი
- შეფასების მიმართულება
- დავალების აღწერა
- დავალების შესრულების ინსტრუქცია
- შეფასებისათვის განკუთვნილი დრო
- შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა
- შეფასების სქემა
- მტკიცებულების მოთხოვნები
- სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები
- შეფასების შედეგი
- შეფასების ჩატარების თარიღი;
- სხვა სახის ინფორმაცია, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე
 - 6.6.2 პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ შემოწმებას აკეთებს: სასწავლო პროცესის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი;
 - 6.6.3 შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს უზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს;
 - 6.6.4 სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;~
 - 6.6.5 ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;
 - 6.6.6 შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

მუხლი 7. შეფასების მტკიცებულებები

7.1. შეფასების მტკიცებულება არის დასტური იმისა, რომ შეფასების პროცესი შედგა და განხორციელდა მოთხოვნათა სრული დაცვით.

7.2. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.

➤ **მტკიცებულების საკმარისობა** – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

- ✦ **მტკიცებულების ვალიდურობა** – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.
 - **მტკიცებულების ავთენტურობა** – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.
 - **მტკიცებულების ტრანსფერულობა** – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.
- 7.3. შეფასების უწყისები უვადოდ ინახება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.
- 7.4. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.
- 7.5. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა. 3 წლის შემდეგ ის შეიძლება განკარგული იქნება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.
- 7.6. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული.
- 7.7. სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა
- 7.8. შეფასების უწყისის ფორმა შესაძლოა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაწესებულების ლოგო, დასახელება, პროგრამის დასახელება, მოდულის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი, სწავლის შედეგები და მისი დადასტურება/არდადასტურების აღნიშვნა, შეფასების/განმეორებითი შეფასების თარიღები, მოდულის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა.
- 7.9. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები აღირიხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში(ელექტრონულად), პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.
- 7.10. საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური მოდულებს სწავლის შედეგებს აღწევს კლინიკებში, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, შეფასებების განხორციელების მიზნით ინსტრუქტორი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში ადასტურებს შესაბამისი აღნიშვნით და ჟურნალზე ხელმოწერით, ხოლო პროგრამის ბოლოს ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდები, წინამდებარე წესის შესაბამისად.

თავი 2

მუხლი 8. შეფასების პროცესის ადმინისტრირება

8.1. შეფასების პროცესის დაწყების წინ სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შეფასების პროცესის დროს ქცევის წესებს და ატარებს ინსტრუქტაჟს.

8.2. ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ერთდროულად დაიწყება შეფასების დროის ათვლა.

8.3. შეფასების პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების პროცესზე:

ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს

ბ) თან იქონიოს: ავტოკალამი;

გ) ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ გრაფაში;

დ) შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და მეთვალყურის ცალკეული მითითებანი.

8.4. შეფასების მსვლელობისას პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის, ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) შეფასების პროცესის დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ. გამოყენება (გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს შეფასების წესით არის დაშვებული);

გ) ტესტის შესავსებად განსხვავებული ფერის (წითელი, მწვანე,...) ფერის გამოყენება;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) შეფასების ადგილის უნებართვოდ დატოვება. შეფასების ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ 5 -5 წუთი დამკვირვებლის ნებართვის შემდეგ.

8.5 ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორებისას მას განათავსებენ დანარჩენი სტუდენტებისგან განცალკევებით, ამ დებულებით გათვალისწინებული შეფასების პროცესის პირობების დაცვით ან მას დაატოვებინებენ შეფასების სივრცეს. გაფრთხილების გარეშე სტუდენტის შეფასებიდან მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევებში სტუდენტის მიერ საშეფასებო სივრცის დატოვება ფორმდება ოქმით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური აქტით.

8.6. შეფასების დროის ამოწურვამდე მიცემული დავალების (ტესტი, პრაქტიკული დავალება) შესრულების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, დატოვოს შეფასების ადგილი;

8.7. თუ ფართი იძლევა ამის საშუალებას შესაძლოა რამდენიმე სპეციალობის თეორული შეფასება (ტესტირება) ჩატარდეს ერთ სივრცეში.

8.8. ჩაბარებული ტესტური ნამუშევრები იკვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და გადაეცემა შემფასებელ პირს

8.8. განმეორებით შეფასებაზე დაშვება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მხრიდან შეფასების საფასურის გადახდას, რაც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით/ხელშეკრულებით;

8.9. განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა ორჯერ, ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ი;

8.10. განმეორებით შეფასებაზე წერილობითი გამოკითხვის შემთხვევაში იცვლება შეფასების ინსტრუმენტი.

მუხლი 9. დამკვირვებელი

9.1. საშეფასებო პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით კოლეჯში შეფასების პროცესის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებელი/დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა და განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური აქტით. შეფასების მიმდინარეობის პროცესში დაუშვებელია ამ დებულებით გაუთვალისწინებელი პირების დასწრება.

9.2. დამკვირვებელი არის პირი, რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად და შეფასების სივრცეში დაამყაროს წესრიგი.

9.3. დამკვირვებელი შეიძლება იყოს კოლეჯის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელმაც დაინიშნა დირექტორის ბრძანებით.

9.4. საშეფასებო პროცესზე დამკვირვებლად არ დაიშვება პირი, რომელიც პროფესიული სტუდენტი ნათესავია. ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;
- დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

9.5. დამკვირვებელს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით სტუდენტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

9.6. ქცევის წესების დარღვევის კატეგორიით განისაზღვრება სტუდენტის მიმართ განსახორციელებელი სანქციის ფორმა.

9.7. სანქციის ფორმებია: გაფრთხილება და შეფასებიდან მოხსნა. შეფასებიდან მოხსნის შემთხვევაში სტუდენტის საშეფასებო ნაშრომი გაუქმდება.

მუხლი 10. შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი

10.1. პროფესიული მასწავლებლის მიერ, შეფასების მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და უწყისის შევსების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მენეჯერთან ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთან

10.2. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვებას, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

მუხლი 11. აპელაციის პროცედურა

11. 1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება/ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შედეგების გაცნობიდან /ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა/შეფასების პროცესზე ხელმეორედ ჩატარება.

11. 2.სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის/პრეტენზიის განხილვას ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის /სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მოხდება მტკიცებულების/მტკიცებულებების განხილვა. შეუთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა არანაკლებ 2 შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოწვეული პირი,რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების პროცესში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელი დირექტორის გადაწყვეტილებით. კომისია უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უზრუნველდება სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას(შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად და პროფესიული სტუდენტისთვის გადაწყვეტილების გაცნობას .

მუხლი 12. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

1. წინამდებარე მუხლი აღწერს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს;
2. წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და ჩატარება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა პროფესიულ სტუდენტმა(შემდგომში პროფესიულ სტუდენტი) უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები;
4. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც განსაზღვრულის კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება;
5. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;
6. საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული რამდენიმე დარგობრივი უნარის დემონსტრირებას;
7. საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები უნდა მოიცავდეს:
 - დავალების/დავალებების აღწერას/პირობებს;
 - დავალების შესრულების დროს;
 - შეფასების კრიტერიუმებს;
 - ასევე, საკვალიფიკაციო გამოცდის დროს გამოსაყენებელი მასალის და რესურსების ნუსხა (ნუსხაში მითითებული მასალა და ინვენტარი უშუალოდ საკვალიფიკაციო გამოცდისას პროფესიული პროფესიულ სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება);
8. კვალიფიკაცია მინიჭებულად ჩაითვლება, თუ პროფესიული პროფესიულ სტუდენტის საბოლოო შეფასება თითოეულ კომპონენტში (თეორია და პრაქტიკა) არის დადებითი (ზღვარი დგინდება დირექტორის ბრძანებით).
9. საკვალიფიკაციო გამოცდის კომპონენტები
 - 9.1. საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან;
 - 9.2. თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩატარების ვადების განსაზღვრა ხდება წინასწარ განმახორციელებელ მხარეებთან შეთანხმდებით;
 - 9.3. თეორიული გამოცდის ჩატარება ხდება პრაქტიკულ გამოცდამდე;
 - 9.4. თეორიული გამოცდა:
 - 9.4.1. თეორიული გამოცდა ტარდება კოლეჯში;

9.4.2. თეორიული გამოცდის კომპონენტი/შედეგი დადასტურებულად ჩაითვლება, თუ პროფესიულ სტუდენტმა გადალახა მინიმალური კომპეტენციის აღვარი (ზღვარი დგინდება დირექტორის ბრძანებით);

9.4.3. თეორიული შეფასების საკითხების შემუშავება ხდება წინასწარ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების და დარგის ექსპერტების მიერ, საჭიროების შემთხვევაში თანაგანმახორციელებელ საწარმოსთან/ობიექტთან თანამშრომლობით;

9.4.4. საგამოცდო საკითხების შემუშავება ხდება გავლილი პროფესიული მოდულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით;

9.4.5. თითოეული კომპონენტის საკითხების ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე;

9.4.6 თეორიული კომპონენტის წერისთვის განკუთვნილი მაქსიმალური ხანგრძლივობა 120 დან 180 წუთია(განისაზღვრება კომპონენტთა სიმრავლის/სირთულის შესაბამისად). შესაძლებელია თეორიული კომპონენტის დადასტურებისას მაქსიმუმ ერთი შუალედური შესვენება 15 წუთი. გამოცდის ხანგრძლივობისა და შესვენების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია პროფესიულ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ გამოცდის დაწყების წინ. დროის ამოწურვის შემდეგ პროფესიულ სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ნაწერი, მიუხედავად იმისა მოასწრო თუ არა მან ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა;

10. საგამოცდო კომისია თითოეული კომპონენტისთვის განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით:

დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგის წარმომადგენელი(პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგის მასწავლებელი) და პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი, კომისიისში შეიძლება შევიდეს მოწვეული სპეციალისტიც.

10.1.საგამოცდო კომისიის წევრები ამოწმებენ პროფესიული სტუდენტის ნაშრომს და აჯამებენ შეფასებას.

10.2 თეორიული გამოცდისას მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, თეორიული გამოცდა ჩაითვლება ჩაუბარებლად და კანდიდატი არ დაიშვება პრაქტიკულ გამოცდაზე;

10.3. თეორიულ გამოცდას დაკვირვების მიზნით შეიძლება ესწრებოდეს ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს დირექტორი;

11. პრაქტიკული გამოცდა:

11.1.პრაქტიკული კომპონენტის გამოცდის ჩატარება ხდება საწარმოში;

11.2.პრაქტიკული გამოცდის საკითხებს შეიმუშავებენ დარგის წარმომადგენლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები;

11.3.საგამოცდო საკითხების შემუშავება მოხდება გავლილი პროფესიული მოდულების და სწავლის შედეგების მიხედვით;

11.4.თითოეული კომპონენტი ერთი საგამოცდო დავალებისგან შედგება და მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე. დროის ხანგრძლივობას განსაზღვრავს კონკრეტული დარგის სპეციალისტი და მოცემულობა წინასწარ ეცნობება პროფესიულ პროფესიულ სტუდენტს. პროფესიული სტუდენტისათვის ასევე წინასწარ იქნება ცნობილი შედეგის დადასტურებისათვის საჭირო იმ მასალა-წედლეულისა და ინვენტარის ჩამონათვალი, რომლითაც უშუალოდ დავალების შესრულებასას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული პროფესიულ სტუდენტი.

11.5.საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით: ადმინისტრაციის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი(პროგრამის ხელმძღვანელი ან მასწავლებელი) და პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი, შეიძლება კომისიის შემადგენლობაში შევიდეს მოწვეული პირიც.

11.6.საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ კომპონენტებს და ავსებენ ჩეკ-ლისტებს. პროფესიულმა პროფესიულ სტუდენტმა უნდა მოაგროვოს ჩეკ-ლისტში განსაზღვრული დავალებების ფარგლებში დაწესებულების მიერ დადგენილი კრიტერიუმებით დადებითი შეფასება (ზღვარი დგინდება დირექტორის ბრძანებით) .კომისიის წევრების ჩეკ-ლისტების შედეგებიდან გამოითვლება საშუალო არითმეტიკული პროცენტი;

11.7. პრაქტიკულ გამოცდას დაკვირვების მიზნით ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს დირექტორი;

11.8. დაუშვებელია გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის გაცდენა არასაპატიო მიზეზით მოხდა, პროფესიულ სტუდენტს გაუფორმდება გამოცდაში 0 ქულა.

11.9 პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია გამოცდის გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გამოცდაზე არგამოცხადების საპატიო მიზეზს, გამოცდიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

11.10. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დირექტორი და ადგენს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლებას;

11.11 საკვალიფიკაციო გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა ცნობა გავლილი მოდულების შესახებ;

11.12. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება ორჯერ გავიდეს განმეორებით გამოცდაზე რისთვისაც განცხადებით მიმართავს დირექტორს. რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქმნის დამატებით კომისიას, რომელიც ადგენს განმეორებითი გამოცდის პირობებს (დროს, ხარჯთაღრიცხვას, კომისიის წევრების რაოდენობას და სხვა);

11.13 განმეორებითი გამოცდისას გამოცდის ხარჯებს ანაზღაურებს ის პროფესიული პროფესიულ სტუდენტი, ვისთვისაც ტარდება კონკრეტული გამოცდა;

12. გამოცდის შედეგების გასაჩივრება

12.1. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები უნდა ეცნობოს პროფესიულ სტუდენტს, გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ფორმით; (ელ. ფოსტის საშუალებით)

12.2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები ან პროცესი შეფასებიდან/ შედეგების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობითი განცხადებით კოლეჯში

12.3. საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის სპეციალისტები, საწარმოს წარმომადგენელი;

12.4. კოლეჯი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს; კომისიას უფლება აქვს ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დატოვოს იგივე ან გააუმჯობესოს შედეგი, ან პროფესიული სტუდენტი კოლეჯის ხარჯით გაიყვანოს განმეორებით გამოცდაზე.

12.5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

13. საგამოცდო პროცესის დამკვირვებლის ვალდებულებები

13.1. საგამოცდო პროცესის დამკვირვებელი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 30 წუთით ადრე და აცნობოს ადგილზე ადმინისტრაციას;

ბ) გამოცდის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტს გააცნოს წესები, რომლებიც უნდა დაიცვან გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

გ) დაარიგოს საგამოცდო საკითხები. ამის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა.

ე) რეგისტრაციაში გაატაროს პროფესიულ სტუდენტები და ხელმოწერით ან მონიშვნით დააფიქსირებინოს გამოცდაზე გამოცხადება;

ვ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს პროფესიულ სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;

ზ) პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში საგამოცდო ფურცელზე/ჩეკ-ლისტზე გააკეთოს წარწერა – „მოხსნილია გამოცდიდან” მიზეზის მითითებით, დააფიქსიროს პროფესიულ

სტუდენტის გამოცდიდან მოხსნა საგამოცდო ნაშრომის/ჩეკ-ლისტის მიღება-ჩაბარების უწყისშიც, მოაწეროს ხელი და გადასცეს ადმინისტრაციას.

თ) გასცეს პასუხი პროფესიულ სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება.

ი) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს პროფესიულ სტუდენტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;

კ) თეორიული გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;

მ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;

ნ) დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება, გამოცდის დასრულებამდე;

14. პროფესიულ სტუდენტის უფლება-მოვალეობები

14.1 პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია:

ა) ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე საგამოცდო დროის დაწყებამდე 30 წუთით ადრე;

ბ) დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

გ) იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

დ) მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში);

ე) შეამოწმოს თეორიული საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება;

ზ) არ დაიწყოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

თ) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;

ი) საჭიროების შემთხვევაში ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა პროფესიულ სტუდენტებს;

კ) დაემორჩილოს საგამოცდო პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;

ლ) საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი;

14.2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშაო სივრცე, განათება);

გ) საგამოცდო ოთახში შეიტანოს სასმელი წყალი;

დ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება;

15. გამოცდების ჩატარების პროცედურები

15.1. საგამოცდო რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 30 წუთით ადრე. რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში;

15.2. რეგისტრაციის გავლის შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ საგამოცდო საკითხები/ტესტები;

15.3. დამკვირვებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს;

15.4. დაგვიანებული პროფესიულ სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

16. გამოცდაზე ქცევის წესები

16.1. გამოცდაზე დაუშვებელია:

- ა) საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;
- ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია საგამოცდო სივრცის დატოვება წერის შესვენებამდე /სრულად დამთავრებამდე;
- გ) გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება ერთმანეთთან, აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;
- დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა.
- ე) სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;
- ვ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;
- ზ) სხვა პროფესიულ სტუდენტის ტესტი ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;
- თ) სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;
- ი) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
- კ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;
- მ) დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;
- ნ) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.
17. გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს და მოთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილას;
18. საგამოცდო პერიოდის განმავლობაში ამ და სხვა გარემოებების დროს პროფესიულ სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან;
19. პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები
- 19.1. პროფესიულ სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:
- ა) ლექსიკონის, ე. წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის და დამხმარე მასალის, (გარდა ნებადართული შემთხვევისა) ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო აღმოჩენისას (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
- ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;
- გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.
- დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში.
- 19.2. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას პროფესიულ სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას
- 19.3. ნაშრომი არ გასწორდება:
- ა) იმ პროფესიულ სტუდენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას;
- ბ) ნაშრომში დააწერს სახელს, გვარს (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ფურცლისა) ან გააკეთებს პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;
- გ) პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში.

მუხლი 13. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია

13.1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და ვერიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციების პროექტებს(საჭიროების გათვალისწინებით) დასამტკიცებლად. დოკუმენტების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის მენეჯერი, ან დირექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი, ვერიფიკაციის ჯგუფი გეგმაში ასახული თარიღების დაცვით.

13.2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება : შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება მიღებული, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს დადებითი შეფასება მიღებული, სხვა. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც განხორციელდეს, მაგალითად ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20% პროცენტი და სხვა.

13.3. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები, ხოლო პროცესის ვერიფიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დარგის წარმომადგენელთან ერთად.

13.4. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყო ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას.

13.5. ვერიფიკაციით განისაზღვრება, შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულება იმ მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა და აკმაყოფილებს თუ ვერიფიკაციის კითხვარში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და გამჭვირვალე, ხოლო მტკიცებულებები სათანადოდაა აღრიცხული და შეფასება ობიექტურია.;

13.6. ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი აღნიშნული კითხვარი გამოყენებული იქნება, როგორც ინდივიდუალური

კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. შესაძლოა ვერიფიკატორმა არსებულ ჩამონათვალს თავისი კრიტერიუმიც დაამატოს.

13.7.ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:

- შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
- საჭიროების შემთხვევაში შეხვდნეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს და სხვა ჩართულ მხარეებს.
- განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები;
- უნდა შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე.

13.8. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს, რათა რომელიმე პირი არ დომინირებდეს.

13.9.განსახილველ საკითხებზე შეთანხმების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სრულად იქნას გამოყენებული ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა მონაწილის კომპეტენცია და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ყველა კრიტერიუმის საფუძველზე კომპლექსურად და ობიექტურად განხორციელდეს. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შევსებული ვერიფიკაციის კითხვარის შედეგები შეჯამდება. თითოეული დაასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას საჭიროებენ.

13.10.ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს თითოეულ საკითხს, თანხმდება ერთიან პოზიციაზე და დასკვნაში ხდება შეჯერებული აზრის დაფიქსირება.

13.11 ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები ხელმისაწვდომია როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის გასაანალიზებლად, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის;

13.12.შიდა შემოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) დაწესებულების ხარისხის მართვის მსნჯერს გადასცეს შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები ;

13.13. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების/შენიშვნების/რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელი ჯგუფისათვის/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის,მათი შემდგომი განვითარებისათვის;

13.14.ვერიფიკაციის პროცესის დასრულების შემდგომ დგება ვერიფიკაციის ანგარიში.

13.15.განმეორებითი ვერიფიკაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა.

13.16.შეფასების ინსტრუმენტების ცვლილების ინიცირების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს შეფასების პროცესის ანალიზის შედეგები.

13.17. შეფასების ინსტრუმენტის გადახედვა შესაძლებელია ინიცირების საფუძველზე. ინიცირების უფლება აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.

13.18. ცვლილებების განხორციელების დროს შეფასების ინსტრუმენტებმა თავიდან უნდა გაიაროს ვალიდაცია.

13.19. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შიდა ვერიფიკატორებმა (შემმოწმებლებმა) არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში, ვალიდაციაში და შეფასების გადაწყვეტილებებში, რომელშიც ისინი თავად იყვნენ ჩართულები. მათ ასევე უნდა იზრუნონ შეფასებების ხარისხზე და არ უნდა დაუშვან, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არმოწონება). მათ ასევე უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და ორგანიზაციის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულონ.

13.20. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული პროფესიულ სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს;

13.21. ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.

13.22. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

13.23. დაწესებულება დასკვნის და დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, შესაძლოა ცალკე გაიწეროს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩატარება.

13.24. ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვერიფიკაციის პროცესი შეიცვალოს და გაჩნდეს ახალი რეგულაციები, რაც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

გარემოება	შესაძლო რისკი	კოეფიციენტი
მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი	დაწესებულების მოსაზრება, რა შეიძლება იყოს შესაძლო რისკი	გარემოებები შესაძლოა დაიყოს შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებათ და მათ მიენიჭოთ შესაბამისი ქულები. მაგალისთვისთვის: დაბალი 1 ქულა, საშუალო 2 ქულა, მაღალი 3 ქულა, კრიტიკული 4 ქულა.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

ეტაპზე პასუხისმგებელი
მონაწილე
ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის სამსახური/ მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლებლა)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის სამსახური/ მენეჯერი/ პროფესორის	დაწესებულების ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								
მტკიცებულებათა მიხედვით								

შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება	Green	Red	White	White	Green	White	Green	White
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება	Green	White	Red	White	Green	White	White	White
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება	Green	White	Red	White	Green	White	White	White
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება	Green	Red	White	White	White	White	Green	White
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად	Green	Red	White	White	White	Green	Green	White
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება	Green	White	Red	Green	White	White	White	White
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება	Green	White	Red	Green	White	White	White	White
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება	Green	White	Red	Green	White	White	White	White
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება	Green	White	Red	Green	White	White	White	White
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება	Green	White	Red	White	Green	Green	White	White
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით	Green	White	Red	White	Green	White	White	White
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა	Green	Red	Red	White	White	White	White	White
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე	Red	White	White	White	White	White	White	White
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)	Red	White	White	White	White	White	White	White
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა	Green	Red	Red	Yellow	Yellow	White	Yellow	White
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)	Green	White	White	Yellow	Yellow	White	Red	Yellow
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)	Green	White	White	White	White	White	Red	White
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)	Red	Green	Green	Green	Green	Green	Green	Yellow

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ			

	მიერ	დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			

გამჭვირვალობა

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			

სამართლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			

ობიექტურობა

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			